საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4971/01
01/06/2020

4971-01-2-202006011957

სს „აჭარის წყლის ალიანსს“

მის: ქ. თბილისი, 13 ა ვაშლიჯვარი ბინა N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 19 მაისს წარმოდგენილი N7438 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა მუხაესტატეში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. დიოკნისსა და ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ტიბეთაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტებს.

გაცნობებთ, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად მიწისქვეშა წყლებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს წიაღისა და გარემოს სხვა კომპონენტების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვას. ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-2 მუხლის თანახმად იმ მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, რომლებიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან (მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების ჩამარხვა, ჩამდინარე წყლის ჩაშვება, მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობა და სხვა), უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ობიექტების გარემომცველი ქანების, პირველ რიგში კი წყალშემცველი ჰორიზონტების საიმედო იზოლაცია. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის ანგარიშებში.

ვინაიდან, წყალგამწმენდმა სისტემებმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მიწისქვეშა წყლებზე, წყალგამწმენდი სისტემები განხილულ უნდა იქნეს არა ცალ-ცალკე, არამედ კომპლექსურად მდინარეების წყალშემკრები აუზების მიხედვით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობების მოწყობასთან დაკავშირებით, რომელთა შორის დგინდება ზემოაღნიშნული ურთიერთკავშირი, საჭიროა შპს ,,აჭარისწყალი ალიანსის” მიერ წარმოდგენილი იქნეს ერთი სკრინინგის განცხადება, რომელშიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილული იქნება მდინარეების წყალშემკრები აუზების მიხედვით ურთიერთდაკავშირებული გამწმენდი ნაგებობები.

სკრინინგის განცხადებებთან დაკავშირებით, ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- საპროექტო ტერიტორიებიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან;
- ჩამდინარე წყლების რაოდენობრივი მახასიათებლები, რა რაოდენობის ჩამდინარე წყლის ჩაშვება იგეგმება, ასევე მოცემული უნდა იყოს ჩამდინარე წყლის მიმღები ობიექტებისა და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული გამწმენდი ნაგებობის ტიპი, ტექნიკური მახასიათებლები, წარმადობა, გაწმენდის ეფექტურობა და ტექნოლოგიური სქემები.
- წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობების განთავსების GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საკანალიზაციო კოლექტორების სიგრძე, მილსადენის პარამეტრები და საპროექტო დერეფნის შესახებ მონაცემები. სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობების მოწყობით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. ამასთან, სკრინინგის განცხადება მომზადებული უნდა იყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებები. გთხოვთ უზრუნველყოთ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა ზემოაღნიშნული მოთხოვნებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე